F550 № 7452

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლება სხვაზედა..

# ოდიში

1991
ხუთშაბათი
2
მაისი
№ 52 (10445)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

მხარი მხარს მივცეთ, ქართველნო!

რა ულმობელი ჟამი დაგვიდგა ქართველებს. ათასნაირი სიცრუით და ვერაგობით, ყოფითი სიძნელით და უკეთურობით გულდასეტყვილ ხალხს ბუნებამაც უმუხთლა. შემზარავი ცნობები

ახლა ყოველი რეგიონის, ქალაქისა და რაიონის, დაწესებულების, ორგანიზაციის, ნებისმიერი მოქალაქის პატრიოტული ვალია დაირაზმოს საგანგებოდ შექმნილი შტაბის გარშემო, ხელი შეუ-

## სტიქიასაც ვაჟკაცურად გავუმკლავდეთ

მოგვდის საჩხერიდან, ონიდან, ამბროლაურიდან, ჭიათურიდან სხვა რეგიონებიდან. ძლიერმა მიწისძვრამ დაანგრია სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები, იმსხვერპლა ადამიანთა სიცოცხლე. ათასობით ჩვენი მოძმე ღია ცის ქვეშ დარჩა. უკვე მერამდენედ ამოჩნდა ადამის ძე სტიქიის უსასტიკესი ფორმით დასჯილი. უკვე მერამდენედ უნდა დავარიდნოთ ქართველებმა განგაშის ზარები მამულის გადასარჩენად. დატრიალდა უბედურება, რომლის წარმოსახვაც ჭირს. ვწერთ ამ სტრიქონებს და თვალწინ ცოცხლდება მინგრეულ-მონგრეული ოდა-სახლი და სამზადისი, ბოსელი და მარანი, წაქცეული ბოძები, მორღვეული ღობე. ზოგან კლდეც კი ჩამოინგრა და სახნავ-სავარგულები მოსრა. წარმოდგენილი გვაქვს, რა დღეში არიან ჩაცვენილნი უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანები, თვალებში შიშჩამდგარნი, საშინელებით დაზაფრულნი.

მაგრამ ჭირში ჩავარდნილ ქართველობას სასოწარკვეთილება არასდროს არ სჩვეოდა. თავს დამტყდარ უბედურებას სულის სიმტკიცით, მხნეობით იგერიებდა. ახლა შინაგანი მოდუნების დრო ნამდვილად არაა. სიძნელეთა ძლევის ჟინით უნდა დავიმუხტოთ, შევკავშირდეთ და გამოვიდეთ უმძიმესი სიტუაციიდან.

წყოს მიწისძვრის ტრაგიკული შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების ოპერატიულად კოორდინირებას. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ზუგდიდის რეგიონი ამჯერადაც იტყვის თავის სიტყვას. ჩვენ, გაზეთის მეშვეობით მოგვიწევს დაფიქსირება დახმარების, თანადგომის ღირსსახსოვარი ფაქტებისა. უბედურებაში ჩავარდნილებისათვის მიშველების ტრადიცია ქართველ კაცს ხომ სისხლში მოსდევს.

მაშ, ასე, ძვირფასო ზუგდიდელებო, ამაყო და გულმოწყალე თანამემამულენო! გაჭირვებაში ჩავარდნილ თქვენს მოძმეს დახმარების ხელი გაუწოდეთ, გულის სითბო უწილადეთ. მათთვის ერთნაირად ძვირფასია ახლა სამშენებლო მასალა, თუ ტვირთმზიდი ავტომანქანა, ამწე, თუ ექსკავატორი. მათ მაერივით სჭირდებათ ფულადი დახმარება, საკვები და ტანისამოსი, სისხლი და მედიკამენტები.

ჩვენი მხარდაჭერით სტიქიით დაზარალებულ ხალხს სულში იმედი ჩავუსახოთ, მხნეობა შევმატოთ, კვლავ ავაღორძინებინოთ გაპარტახებული სოფლები, ისევ გავაჩაღებინოთ დროებით ჩამქრალი კერია, უიმედო მჭმუნვარებიდან სულის ამამაღლებელი რწმენისაკენ შემოვაბრუნოთ განსაცდელის პირისპირ მდგომი ხალხი.

## ალსდექ, საქართველოვ!

ისევ გვიმუხლთა აპრილმა!..

ისევ აიზილა ერთმანეთში სისხლი და ცრემლი. გაოგნებული და თავზარდაცემულები ვართ. ორიოდე წლის წინ სპიტაკის ტრაგედიის დაჭერება გვიჭირდა და დიდიან პატარიანად სომხეთში გავრბოდით. ღამის სულიც არ დავიშურეთ მოძმეთა დასახმარებლად. ამჯერად უბედურება თავად დაგვატყდა თავს: ძლიერი მიწისძვრის შედეგად მძიმედ დაზარალდა ჭიათურა, საჩხერე, ზესტაფონი, ონი, ამბროლაური, ჭავა, ცაგერი. დანგრეულია საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, ეკლესიები. დიდია მსხვერპლი.. ღია ცის ქვეშ დარჩა ათასობით ადამიანი!

როგორც საინფორმაციო საშუალებები იტყობინებიან, სტიქიური უბედურების ზონა მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია უკვე. განსაცდელში ჩავარდნილ ადამიანებს სასწრაფოდ სჭირდებათ დახმარება.

დაზარალებულთა თანადგომისათვის მზად არიან ზუგდიდელები. სტიქიის დღესვე, უბედურების ადგილზე, გაემგზავრა საქართველოს ეროვნული გვარდიის ზუგდიდის № 5 ბატალიონი 80 კაცის შემადგენლობით. 30 აპრილს კი, თავისუფლების მოედანზე შეიკრიბა ქალაქის სხვადასხვა ორგანიზაციის ათეულობით წარმომადგენელი. მათ ამბროლაურსა და ონში გაგზავნეს ტრანსპორტი, მედიკამენტები, სურსათი. ქალაქის პრეფექტმა თ. ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ ეს დახმარებისთვის გადადგმული მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. უახლოეს დღეებში კი დაზარალებულ რაიონებში კვლავ გაიგზავნება სამშენებლო მასალები, ტექნიკა, მაშველი ძალები.

№ 1 ასს-დან როგორც დირექტორმა ემხვარმა გვითხრა სტიქიური უბედურების ზონაში გაემგზავრა სამი თვითმცლელი, ორი პროდუქტის მანქანა, ერთი გამწევუნაგირა. ასევე, ორი სატვირთო ავტომანქანა გაიგზავნა ავტოკოლონა № 2668-დან.

11,387 მანეთის სასურსათო პროდუქტი გაუგზავნეს დაზარალებულებს საწარმოო გაერთიანების „საქქალაღდმრეწვის" მშრომელებმა. 1 ტონა პურის ფქვილი, 500 კილოგრამი შაქარი და ხილფაფები გამოყვეს თანამოძმეებისათვის რაიკოოპკავშირმა და ცეკავშირის ბაზამ. ორი ტომარა კარტოფილი, ერთი ტომარა ხახვი, ასი ცალი თევზის კონსერვი და ორასი ცალი სიგარეტი საკოლმეურნეო ბაზრის მუშაკებმა სახელდახელოდ შეაკოწიწეს დაზარალებულთათვის. ქალაქის პურკომბინატმა კი ტონაზე მეტი პური მიუმატა გასაგზავნ პროდუქციას.

ვიდრე დატვირთული ავტომანქანების კოლონა გაემგზავრებოდა, შეკრების ადგილზე ქალაქის საეფთიაქო სამმართველოს თანამშრომლები მოვიდნენ. მათ დაზარალებულებს გაუგზავნეს მნიშვნელოვანი რაოდენობის მედიკამენტები: ანტიბიოტიკები, პირველი დახმარების შესახვევი მასალები, სისხლის შემცველი პრეპარატები, სისხლისდენის შემჩერებლები, ტკივილდამაყუჩებლები. რამდენიმე მოქალაქემ ინდივიდუალურადაც გაიგზავნა მედიკამენტები, ტანსაცმელი.

ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ლუარა კვირკველიამ მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ ამ დღეებში, პედაგოგებისა და მოსწავლეებისაგან, დაზარალებულებს, გაეგზავნებათ სურსათ-სანოვაგე, ტანსაცმელი. გაეწევათ ფულადი დახმარება.

სტიქიური უბედურების ზონაში გამგზავრების სურვილი გამოთქვა ბევრმა კეთილ პირმა.

აკაკი ბაკურაძე, რაიონის სპორტული სკოლის დირექტორის მოადგილე, წარმოშობით ონიდანაა. აქ, ჩვენთან ცხოვრობს, მაგრამ ნათესავები რაჭაში ყავს.

—ექვსი, ექვს-ექვსადგილიანი კარავი, თორმეტი ორ-ორ საწოლიანი საძილე ტომარა მიმაქვს, მთამსვლელი ვარ, შემიძლია რაღაც დახმარება გავუწიო დაზარალებულებს და აქ რა გამაჩერებსო,—გვითხრა. უბედურების ადგილზე საკუთარი სურვილით გაემგზავრნენ № 12 სამშენებლო ტრესტის მშენებლები: ვახტანგ შონია და არჩილ გოგილაძე. კეთილშობილია მათი ნაბიჯი. მართლაც ძნელია ვაჟკაცისთვის მშვიდად შინ დარჩენა, როცა შენს სისხლსა და ხორცს უჭირს, როცა მგლოვიარე სრულიად საქართველო ხელებდაკაპიწებული, სისხლით, ცრემლით და ოფლით დამბალ ნანგრევებში ეძებს თავის უილბლო, დასახიჩრებულ შვილს..

გვიჭირს, მაგრამ დაცემის უფლება არა გვაქვს! ფერფლიდანაც კი, უნდა აღვდგეთ ზღაპრული რაინდებივით..

უსაშველო ტკივილი კუმშავს გულს: ღმერთმა ნუ ქნას, აღსრულდეს საქართველოს უქართველობოდ მსურველთა ოცნება..

აღსდექ, საქართველოვ!

ნ. მოსიძე.

## ზუგდიდი თქვენთანაა, ძმებო!

29 აპრილს, თბილისის დროით 18 საათსა და 18 წუთზე, ზუგდიდში მიწისძვრის მძლავრმა ბიძგებმა შეარყია შენობა-ნაგებობანი. საბედნიეროდ, მიწისძვრას ჩვენს ქალაქსა და რაიონში არსებითი მატერიალური ზიანი არ გამოუწვევია.

სტიქიამ ამ დღეს დიდი უბედურება დაატეხა თავს დასავლეთ საქართველოს რიგ რაიონებს. ნგრევას, ეკონომიკურ ზარალს ვინ ჩივის, სამწუხაროდ არის ადამიანთა მსხვერპლი.., გლოვის, მწუხარების დღეები უდგას სრულიად საქართველოს. და სწორედ ამ განსაცდელის ჟამს, სწორედ ახლა გვმართებს „ჭირსა შიგან გამაგრება", შეკავშირება, მამული ქუდზე კაცს ითხოვს..

საზოგადოებრიობა ინფორმირებულია იმის თაობაზე, რომ სტიქიისგან იავარქმნილი ონის, ჭიათურის, საჩხერის და სხვა რაიონების მოსახლეობა მიშველებასა და დახმარებას საჭიროებს ტექნიკით, საცხოვრებელი კარვებით, სურსათით, მედიკამენტებით, სისხლით. უკვე 29 აპრილს, გვიან ღამით უბედურების ზონისაკენ ზუგდიდიდან გაემგზავრა ეროვნული გვარდიის პირველი ოცდაათკაციანი რაზმი. მეორე დღეს დილით ქალაქის რესპუბლიკური საავადმყოფოს სამი წარმომადგენელი სურსათითა და მედიკამენტებით დატვირთული ავტომანქანით ქუთაისს გაემგზავრა, სადაც პრეფექტურასთან შექმნილი საგანგებო შტაბი კოორდინაციას უწევს მაშველ ჯგუფებს, ცოცხალ ძალასა და ტექნიკას.

მიზანშეწონილია, ორგანიზაციებმა, საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივებმა, ყველამ, ვისაც სურს და თავის სისხლხორცეულ მამულიშვილურ მოვალეობად მიაჩნია დახმარების ხელი გაუწოდოს უსახლკაროდ დარჩენილ ათეულ ათასობით თანამოძმეს, ვისაც გული და მკლავი ერჩის იყოს ნგრევის შედეგების სალიკვიდაციოდ გაშლილი ფრონტის აქტიური მონაწილე, მიმართონ ზუგდიდის პრეფექტურასთან შექმნილ საგანგებო შტაბს (უფროსი ინდიკო ქობალია).

..ჩვენს მოუშუშებელ ჭრილობებს კიდევ ერთი იარა შეემატა. ღმერთო, გვაკმარე მწუხარე აპრილთა წყება!

ჯ. ჯაბადარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მელიორაცია და მისი მნიშვნელობა

ზუგდიდის რაიონი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მხრივ საქართველოს დასავლეთ ნაწილის ძლიერ რეგიონს წარმოადგენს. იგი გამოირჩევა მდიდარი ბუნებრივი და კლიმატური პირობებით—ძვირფასი მარცვლოვანი და სუბტროპიკული კულტურების გასაშენებლად.

რაიონის დაბალი ზონის მიწები ტერიტორიულად მიეკუთვნებიან კოლხეთის დაბლობს, სადაც უმეტესად გამოყენებულია დაშრობითი მელიორაცია, ხოლო ზედა ზონაში მორწყვა.

სამელიორაციო და ხაირგაციო საექსპლოატაციო სამუშაოებთან ერთად რაიონის მელიორატორთა წინაშე დგას დიდი ამოცანა—სრულყოფილად გამოყენებულ იქნას ისეთი მნიშვნელოვანი რეზერვი, როგორიცაა კოლხეთის დაბლობის მიწები.

რაიონი მცირემიწიანად ითვლება, ერთ სულ მოსახლეზე მოდის 0,15 ჰექტარი სავარგული, რაც ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის დაკმაყოფილებას მარცვლეულით, ბოსტნეულითა და მეცხოველეობის საკვები კულტურებით. სწორედ ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაშრობით სამუშაოებს.

მიწების დაშრობა-ათვისებაში დიდი წვლილი აქვთ შეტანილი სოფლის მეურნეობის, წყალთა მეურნეობისა და კოლხიდმშენის სპეციალისტებს.

სუბტროპიკული კულტურების განვითარების პერსპექტივა კოლხეთის დაბლობის მიწებშია. მისი სრული მელიორაციის შემდეგ, როგორც მესამე და უკანასკნელი რიგის ნიადაგები, გამოყენებულ უნდა იქნას ამ კულტურათა გასაშენებლად.

კოლხეთის დაშრობილი მიწები, რომელსაც წინ უძღოდა გაკულტურების სამუშაოები, გამოყენებულ იქნა ჩაის, ციტრუსების, მარცვლეულისა და სხვა ტექნიკური კულტურებისათვის, მაგრამ ახლა მეცხოველეობის განვითარებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხდება კოლხეთის დაბლობზე დარჩენილი მიწები დაშრობის შემდეგ გამოყენებულ იქნეს მეცხოველეობის საკვები კულტურებისა და საძოვრებისათვის, რისთვისაც მიზანშეწონილია ჩატარდეს მათი კომპლექსური დაშრობა.

სწორედ ამ პერსპექტივისა და სხვა საინტერესო საკითხებზეა ყურადღება გამახვილებული ზუგდიდის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ გამოცემულ ბროშურაში „მელიორირებული მიწების გამოყენება და მისი ეფექტიანობა ზუგდიდის რაიონში".

აქ მოთხრობილია რაიონის სამიწათმოქმედო კულტურის მდიდარ ისტორიაზე, სხვადასხვა კულტურების—დაფნის, რეჰანის, ჩაის კულტურების მოყვანის პერსპექტივებზე, მეცხოველეობის განვითარების აუცილებლობაზე.

ბროშურის შემდგენელია ზუგდიდის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი მ. ბალიშვილი.

იგი უთუოდ დაეხმარება როგორც სასოფლო-სამეურნეო საკითხებით დაინტერესებულ პირთ, ასევე მოსახლეობას.

# ვინ იზრუნებს სოფელზე?

ვის არ აღელვებს ეროვნული მოძრაობა, ბრძოლა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, დემოკრატიისათვის? ერთსულოვანი იყო ხალხის ნება დემოკრატიული არჩევნების ჩატარებაში, სიახლეებისათვის ბრძოლაში კომუნისტებმა დათმეს პოზიციები, თუ არ მივილებთ მხედველობაში ცალკეულ პირებს. ისინი ძალიან მოკრძალებულ წინააღმდეგობას ქმნიან. გასაგებია, რომ კრემლი არის ჩვენი მტერი და ყოველგვარ წინსვლას ის ელობება წინ, მაგრამ ასეთ სიტუაციაშიც ხომ შეიძლება ზოგიერთი საკითხის მოგვარება?

ჩატარდა საკრებულოების არჩევნები. ხალხს იმედი აქვს, რომ ისინი იზრუნებენ სოფლის პრობლემებზე.

ახლა საფუძველი ეყრება მომავალ მოსავალს, განა შეიძლება ახლა მოუხნავ-უთესი მიწების დატოვება?

ტრანსპორტი დიდ როლს თამაშობს სოფლის ცხოვრებაში, ავტობუსები კი არ დადის. წარმოუდგენლად გვიჭირს უტრანსპორტობა, ამას „ხალტურაზე" მოსიარულე მძღოლების უტიფრობაც ემატება, ისედაც ხომ გაძვირდა მგზავრობის ფასები, ასეთ დროს ხალხი ხედავს, რომ ბენზინი იყიდება ყოველ ნაბიჯზე, ე. წ. კომერციული ბენზინი. ეს კომერციაა თუ სპეკულაცია?

განსაკუთრებით გვიჭირს ქალაქიდან სოფელში მოსიარულე პედაგოგებს, ხელფასის დიდი ნაწილი ტრანსპორტზე იხარჯება. იქნებ ქალაქისა და რაიონის ადგილობრივი ხელისუფლება დაინტერესდეს ამ საკითხით და ჩვენი მდგომარეობაც გამოკეთდეს.

სოფელს უცილოდ მიხედვა სჭირდება. ვინ იზრუნებს მასზე?

ზოთა ჭანია,
ხეცერის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი.

# არჩილ ფირცხალავა იგონებდა

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებით გატაცებულთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იმ ქვეყნად ადრე წასულ ნიჭიერ მწერალს არჩილ ფირცხალავას, რომელმაც დიდი მწერლის თითქმის ყველა ნაწარმოებიდან საუკეთესო ადგილები ზეპირად იცოდა. არჩილი ზუგდიდელი იყო და ცხადია, ახლო ურთიერთობა ჰქონდა ამ ქალაქში მცხოვრებ ადამიანებთან, რომელთაც შეხვედრები ჰქონდათ ბატონ კონსტანტინესთან. ესენი იყვნენ: კაკო ქვანია, გვანჯი ჩიქოვანი, შალვა შენგელი, ისაკი ჟორთუა, შოთა კვირკველია, გური ამ კვარაცხელია და სხვები.

კონსტანტინე გამსახურდიასთან ერთად არჩილი დიდ პატივს სცემდა ლადო ასათიანის, ალექსანდრე საჯაიას, მირზა გელოვანის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის შემოქმედებას.

ერთხელ ლალიძეების წყლებზე შევიპატიჟე ჯანმრთელობაშერყეული არჩილი. მას ჟურნალ-გაზეთები და ხელნაწერები ეძავა.

სიტყვა ბატონ კონსტანტინეზე ჩამოვარდა. სწორედ ახლა ვაპირებდი კოლხური კოშკისაკენ წასვლას—მეთქი, ვუთხარი.

გაეხარდა, მეც თუ წამიყვან დიდი მადლობელი ვიქნებით, თქვა.

ქვეითად გავუდექით გზას.

ლარსის ქუჩისკენ როგორც კი შევუხვიეთ, არჩილი შეჩერდა.

დასნეულებული სხეული, შეასვენა.

ო, გაწვედ ჩემგან, ძლიერო სენო,

ჩემს შემდეგ ნურვინ ნუ

მოგიხსენოს.

[illegible] თქვა ლადოს ცნობილი ლექსის ფრაგმენტი და მერმე გაზეთებიდან ხელნაწერი ამოიღო.

ლადო ასათიანის ჩანაწერებია კონსტანტინე გამსახურდიას შესახებ, მთხრა და კითხვას შეუდგა.

„ერთხელ კონსტანტინე გამსახურდია დავინახეთ პროსპექტზე მარტოდმარტო იყო. გვინდოდა მისვლა. გვერდი ავუარ-ჩავუარეთ—ვერ შეგვამჩნია, წინ გავუსწარით, უკან დავბრუნდით და მოწიწებით მივესალმეთ. შემდეგ ბევრი ვისაუბრეთ. ეს დამამახსოვრდა:

„ჩემო მეგობრებო,—გვითხრა მან.

—მეგობრობით შეგნებულად მოგმართავთ, რადგან ჩემი სიტყვის მეგობარს ჩემად ვთვლი. უკანასკნელ ხანს ისე კარჩაკეტილია ჩემი ცხოვრება, რომ გარესამყაროდან კანტიკუნტად თუ შემოაღწევს ისეთი თბილი სიტყვა, როგორიც თქვენგან მესმის. საერთოდ, ალარავისა და ალარაფრისათვის დამრჩენია მოცლა ამ ქვეყანაზე. ნამდვილი ანაქორეტის ცხოვრებას ვეწევი, რადგან უამისოდ ვერაფერს გააკეთებს ადამიანი. ამჟამად ვერიდები მძაფრ შთაბეჭდილებებს და ადამიანებთან შეხვედრას მრავალგზის, რათა ერთხელ დამყარებული განწყობილების დონე შემრჩეს".

არჩილმა აქ მცირე პაუზა გააკეთა, მერმე ლადოს სიტყვები განაგრძო: „საერთოდ ამდენ ხანს კონსტანტინეს მისი ნაწერებით უფრო ვიცნობდით და დაახლოებულნი არ ვიყავით მაინცდამაინც, ცოტა უფრო გვერიდებოდა და გვეუხერხულებოდა მასთან საუბარი და სიარული, მაგრამ იგი ძლიერ კარგი ადამიანი, ჩვეულებრივი მოსაუბრე, მომღიმარი და გულთბილი მასპინძელი".

აღმართს შევუყევით კოლხური კოშკისაკენ. გამოჩნდა გალავანი.

არჩილი ახლა ბატონი კონსტანტინეს ზუგდიდელ ნაცნობებზე, „მთვარის მოტაცებასა" და „დიდოსტატის მარჯვენით ალმაშენებელზე" საუბრობდა, ზეპირად ამბობდა ადგილებს ამ რომანებიდან.

კოლხურ კოშკს მივადექით, მაგრამ მწერალს სტუმრები ჰყოლია და უკან გავბრუნდით. დალმბრთზე დავეშვით. არჩილი იგონებდა ბატონი კონსტანტინეს ზუგდიდში ყოფნის დღეებს, ზეპირად ლაპარაკობდა ლუკაია ლაბახუას, ტარიელ შარვაშიძის, თარაშ ემხვარის სიტყვებს, რომლებშიც არეკვლილია ჩვენი საუკუნის პირველი ნახევრის სამეგრელო—აფხაზეთის ყოფა.

იპოლიტე ვამსახურდია,

## იჯარულ ურთიერთობას— მწვანე შუქი

# ვინ დაეხმარება გლეხს?

ეროვნული მოძრაობის თანამედროვე ეტაპზე, როდესაც პირველად ჩვენს ცხოვრებაში, საქართველოში წარმატებით ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები და ხალხმა თავისი არჩევანი თვითონ გააკეთა, სულ უფრო ნათლად ისახება ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ მიმავალი გზები, რომელიც ია-ვარდით როდია მოფენილი.

დღეს სოფლად ბევრი პრობლემაა დაგროვილი. მათ შორის ყველაზე აქტუალურია მიწის საკითხი. ვის უნდა მიეცეს იგი დასამუშავებლად, რა პირობით და რა რაოდენობით. ეს არის დღეს ნომერ პირველი პრობლემა და მისი დადებითად გადაწყვეტის დაყოვნება უარყოფითად მოქმედებს, როგორც ეკონომიკაზე, ასევე, ადამიანთა ფსიქოლოგიაზე, სოფლის მშრომელთა გუნება-განწყობილებაზე.

რესპუბლიკაში საერთო მიწის რაოდენობის ექვსი პროცენტი მოდის მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებზე და წარმოებული პროდუქციის 50 პროცენტზე მეტი საკარმიდამო ნაკვეთებიდანაა მიღებული.

დარჩელის მეურნეობის განკარგულებაში არსებულ 2.200 ჰექტარიდან მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთი შეადგენს 860 ჰექტარს. ყოველწლიურად მეურნეობა სახელმწიფოს აბარებს 120 ტონაზე მეტ ხორცს და ბაზარს აწვდის 150 ტონა რძეს და ამავე რაოდენობის ხორცს, საგულისხმოა, რომ საშუალო გაანგარიშებით ჩვენი მოსახლეობა აწარმოებს 2200-2800 ტონა რძეს, რომლის ნახევარი იყიდება ბაზარში სხვადასხვა სახით. გამოდის, რომ გლეხი საკარმიდამო ნაკვეთებზე ხუთჯერ მეტ პროდუქციას აწარმოებს ვიდრე საზოგადოებრივი მეურნეობა, აქედან დასკვნა: ნიშანდობლივია, რომ ჩვენი გლეხი არ ყოფილა ზარმაცი და თუ მათ პირად განკარგულებაში გადაიცემა 0,25 ჰექტარიდან ერთ ჰექტარამდე მიწა უკეთესად წარიმართება საქმე.

დღის წესრიგში ერთ-ერთ საკითხად დგას თუ რა ტექნიკა გააჩნია გლეხს? 1200 კომლიან სოფელში დავიწყებას მიეცა ცოცხალი გამწევი ძალა და ავტოპარკის შემყურე გახდა. ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა სოფლად. დარჩელი ერთწლიანი კულტურების გარკვეული რაოდენობით მწარმოებელი სოფელია. დარგის იჯარულ ფორმაზე გადასვლის პირობებში მეურნეობის დირექცია, როგორც მეიჯარე მეხიმინდეს ერთი წლის ვადით აძლევს გარკვეული რაოდენობის ფართობს რისთვისაც მოიჯარე ვალდებულია მეურნეობას გადაუხადოს ერთი ჰექტარი ფართობისათვის პირველი ხვნის, ორჯერადი დაფხვნის, ორჯერადი გადაფარცხვის, თესვის, თესლის, საწვავ-საცხებისა და სასუქების ღირებულება და ერთი ჰექტარიდან ჩააბაროს მეურნეობას ერთი ტონა სიმინდი და 500 კილოგრამი ჩალა, რომლის ზევით მოყვანილი მოსავალი ურჩება მოიჯარეს.

საკითხი ხელშეკრულების პირობებზე განხილულ იქნა საბრიგადო კრებებზე და მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მხარდამჭერაც. მივიღეთ. საკითხი დამტკიცებულ იქნა შრომითი კოლექტივის კრებაზეც.

სასიმინდე ფართობების იჯარით გაცემასთან ერთად იგივე ხელშეკრულებით ფორმდება ჩაის მოსავლიანი და ახალგაზრდა პლანტაციები.

ამჟამად მეურნეობის დირექციაში შემოსულია 800-მდე განცხადება სასიმინდე ფართობების გადაცემის შესახებ. ინტერესი ძალიან დიდია. ჩვენ კი ვცდილობთ ვისწინებთ მათ მოთხოვნებს და ვაკმაყოფილებთ შესაძლებლობის ფარგლებში.

სოფლად დაგროვილ პრობლემებს მოევლება. თავისუფალ გლეხს დოვლათის შექმნაში უნდა წაადგეს კანონი მიწის შესახებ, რომელიც ამჟამად იქმნება და იხვეწება.

მ. ახალაია,
დარჩელის საზოგადოებრივი მეურნეობის დირექტორი.

# ეკოლოგია და ჩვენ

ბუნების დაცვის ზუგდიდის სარაიონთაშორისო კომიტეტი მიზანმიმართულ მუშაობას ეწევა ზუგდიდის ზონაში ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის. გაუმჯობესდა გარემოს დაცვის მდგომარეობა, შემცირდა დარღვევები მიწის წიაღისეულისა და წყლის გამოყენების საქმეში, საგრძნობლად იკლო ტყის უნებართვოდ ჭრამ და ნადირ-ფრინველთა ბრაკონიერობამ. მაგრამ არის მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც უახლოეს პერიოდში გადაწყვეტას მოითხოვენ.

ერთ-ერთ და ყველაზე მთავარ პრობლემად კვლავ რჩება შავი ზღვის სანაპირო ზოლის დაცვა, მისი ესთეტიკური სახის აღდგენა და წყლის ხარისხის გაუმჯობესება. არადამაკმაყოფილებელია წყალდაცვით ღონისძიებების განსახორციელებლად შავი ზღვის სანაპირო ზოლისა და მისი აუზის გაჭუჭყიანების თავიდან აცილების მიზნით გაწეული მუშაობა.

ბუნების დაცვის ზუგდიდის სარაიონთაშორისო კომიტეტის სამოქმედო ზონაში მრეწველობის, კომუნალური და სოფლის მეურნეობის საწარმოები არა თუ განაგრძობენ გაუწმენდავად ჩამდინარე წყლების ჩაშვებას წყალსატევებში, არამედ შეიმჩნევა მათი მოცულობის ზრდის ტენდენცია. ეს იმის გამოა, რომ არ სრულდება გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობის პირველი რიგის დავალებები. ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ საექსპლოატაციოდ გადაცემული ობიექტები ეფექტიანად არ მუშაობენ.

საკითხავია, რისთვის ვფლანგავთ ათეული და ასეული ათასობით მანეთის თანხებს გამწმენდ ნაგებობათა ასაშენებლად, როცა მათი უმრავლესობა უქმად დგას. ზოგიერთს კი მშენებლობის დამთავრებისა და ექსპლოატაციაში გაშვების პირველი დღიდანვე საერთოდ არც კი უმუშავნია.

ზუგდიდის ზონაში 1975 წლიდან აშენდა 16 წყალგამწმენდი ნაგებობა. მათგან ხუთი აღსადგენია, ხოლო 8 მთლიანად მოშლილია, რაც ობიექტის ხელმძღვანელთა მხრივ საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგია. უმოქმედო ობიექტების ღირებულება დღეისათვის ერთ მილიონ მანეთს აღემატება, ხოლო ყოველდღიურად ნახმარი წყალი კი დაახლოებით 100 ათას კუბურ მეტრს სჭარბობს. რაც დიდი დანაშაულია.

საყურადღებოა, რომ ქალაქის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის ეფექტიანობა გასულ წელს 80 პროცენტს არ აღემატებოდა, რის შედეგადაც ნახევრად გაუწმენდავი ფეკალური წყლები პირდაპირ ჩაედინებოდა მდინარე ჩხოუშში. სათანადო დონეზე არ იდგა ლაბორატორიული სამსახური. მიმდინარე წელს კი ქალაქის გამწმენდი ნაგებობები საერთოდ არ მუშაობენ და გაუწმენდავი წყალი ჩაედინება მდინარეებში. მდინარეების გაბინძურების საქმეში ყველაზე დიდი წვლილი უდევს ქალაქის მოსახლეობას, რომლებიც ყველა სახის ნაგავს ყრიან მის აუზში. კომუნალურმა განყოფილებამ და ქუჩათა კომიტეტებმა საჭიროა უფრო ქმედითი ღონისძიებები გაატარონ ასეთ პირთა მიმართ. ქალაქისა და რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ სატრანსპორტო საწარმოებში, სახელმწიფო და კოოპერატიულ პროფილაქტორიებში არ ფუნქციონირებს ნავთობდამჭერი მოწყობილობა და გაუწმენდავი წყალი ჩაედინება მდინარეებში. ჯუმში, სინწაში, ჩხოუშში და მის შენაკადებში ჩაედინება, რაც საბოლოო ჯამში აბინძურებს შავი ზღვის აუზს.

ყოვლად გაუმართლებელია საკოლმეურნეო ბაზრის შიდა ტერიტორიის გაბინძურებული წყლების ჩაშვება მდინარე ჩხოუშში.

## ვიყოთ გულახდილნი

შარშან წყალკანალიზაციის სამმართველოს წავუყენეთ ჯარიმა 82400 მანეთის ოდენობით, ხოლო ფაიფურის ქარხანას 8312 მანეთი. მასალები გადაეგზავნა პროკურატურას. მიმდინარე წლის 12 აპრილს ისევ იქნა აღებული ანალიზები ორივე საწარმოში. გაკეთდა შედარება, თუ რას აკეთებს ხელმძღვანელობა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

საწარმოო გაერთიანება „საქქალაქმრეწვის" გამწმენდი ნაგებობის გაფართოებითი სამუშაოები დაიწყო 1985 წელს მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „საქსპეცმშენმა". სამუშაოთა დამთავრების ვადად 1987 წელი იქნა მიღებული. მას შემდეგ უკვე მეოთხე წელი სრულდება, მაგრამ სამუშაოს დამთავრებას ბოლო არ უჩანს.

ტრესტ „საქსპეცმშენმა" (მმართველი გ. ჩახვაძე) რადიკალური ზომები უნდა მიიღოს, რათა წელს მაინც იქნას დამთავრებული გამწმენდი ნაგებობის გაფართოების სამუშაოები.

ზუგდიდის №1 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმო წყალგამწმენდ ნაგებობათა ტექნიკური გაუმართაობის შედეგად ნავთობ პროდუქტებით აბინძურებს წყალსაწრეტ არხებს, გრუნტის წყლებს და მცირე მდინარეებს. 1987 წელს დაიწყო აქ გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა, რომელიც 1988 წლის სექტემბერს უნდა დაემთავრებინათ. ობიექტის ჩაბარების ყველა ვადა ამოიწურა, მაგრამ მშენებლებმა საქმეს თავი ვერ გაართვეს, ხოლო ყველაფერ ამას ტრანსპორტის მუშაკები რატომღაც ურიგდებიან.

მდინარის გამბინძურებელთა შორისაა ფაიფურის ქარხანა, ქ. ზუგდიდის ავტომოყვარულთა საზოგადოების ავტო-სამრეცხაო სახელოსნოები, ჩაის ფაბრიკები და საბროილერო ფაბრიკა. მართალია უკვე გაკეთდა ამ ფაბრიკის საფრინველეების და ნაკელსაცავის გადაიარაღების პროექტი, მაგრამ უნდა დაჩქარდეს მისი მშენებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში მოგვიწევს ფაბრიკის ფუნქციონირების შეჩერება, როგორც ეკოლოგიურად მავნე და მოსახლეობისათვის საშიში საწარმო

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქისა და რაიონის სამშენებლო ორგანიზაციებს გააჩნიათ ნებადართული ინერტული მასალების კარიერები, ხშირია ამ კარიერების დამუშავების წესების დარღვევა. ბევრ შემთხვევაში წიაღისეულის მოპოვება ხდება ისე, რომ გათვალისწინებული არ არის სარეკულტივაციო სამუშაოების ჩატარება. მაგალითად ბუნების დაცვის კომიტეტის მიერ 1990 წელს შეჩერებულ იქნა სოფელ ცაიშის „ცაცხვის" უბანში ურთის მთის ძირას მოწყობილი კარიერები, რომელიც ეკუთვნის ზუგდიდის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატს და ზუგდიდის აგროსამრეწველო სამეურნეობათშორისო საშენი მასალების საწარმოს. ხშირია შემთხვევები, როცა სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ჩვენთან შეუთანხმებლად აძლევენ უფლებას ამოიღონ ინერტული მასალები ისეთ ადგილას, სადაც ეს აკრძალულია. ეს კი მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. ანალოგიურ დარღვევაზე დაჯარიმებულ იქნენ სამშენებლო ორგანიზაციები: როგორიცაა ზუგდიდის აგროსამრეწველო სამეურნეობათშორისო საშენი მასალების საწარმო, საკოლმეურნეობათშორისო მშენებლობის საბჭო, სამრეწველო კომბინატი და სხვები.

გადაუჭრელ პრობლემად რჩება ის, რომ საზოგადოებრივ მეურნეობათა 80 პროცენტს არ გააჩნია მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების შესანახი ტიპიური საწყობები, ხოლო არსებული კი კეთილმოუწყობელია. ზოგან მინერალური სასუქები ღია ცის ქვეშ იყრება და ნიავდება, მინერალური სასუქები სანიტარული ნორმების მკაცრი დარღვევით ინახება ავტოპარკის ეზოებში კორცხელის, ნაცატუს, ახალსოფლის, ცაიშის კოლმეურნეობებში. ხოლო განმუხურის, დარჩელის, ხეცერის მეურნეობებში, ინგირისა და რუხის კოლმეურნეობებში სასუქებისათვის ადგილი სახსიმინდეების ქვეშ მიუჩენიათ.

არც თუ ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც შხამქიმიკატებით და ნავთობპროდუქტებით ბინძურდება ნიადაგი. ნიადაგის გაბინძურების უპრეცენდენტო მაგალითია ზუგდიდის საწარმოო გაერთიანება „სოფლქიმიის" სოფელ ინგირის ტერიტორიაზე მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატებისათვის შერჩეული ადგილი. სასაწყობო მეურნეობის მოუწესრიგებლობის გამო მინერალური სასუქები წლების განმავლობაში იყრებოდა ღია ცის ქვეშ, რამაც გამოიწვია ნიადაგისა და მიწისქვეშა წყლების გაბინძურება. გაბინძურდა აგრეთვე ახლომდებარე მოსახლეთა ჭები. ბუნების დაცვის კომიტეტი მოითხოვს დაუყოვნებლივ იქნას დაწყებული მინერალური სასუქების დასაცლელი ბუნკერების მშენებლობა, რაც ხელს შეუწყობს თავიდან ავიცილოთ ნიადაგის გაუდენთვა, ზედაპირული და გრუნტის წყლების, აგრეთვე აქვე გამავალი ღელე ჭელეთის გაბინძურება.

მინერალური სასუქებით, კერძოდ აზოტოვანის ნორმაზე ზევით შეტანამ, მისი გამოყენების რეგლამენტის დარღვევამ გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებში ნიტრატების დაგროვება. უნიტრატო სუფთა პროდუქციის მიღების ერთ-ერთი დიდი რეზერვია ორგანული სასუქების გამოყენების გადიდება, რომელიც გარკვეულ წილად შეზღუდავს აზოტოვანი სასუქების გამოყენებას. არა და ამის საშუალება რაიონში არსებობს. ყოველწლიურად შეიძლება დაგროვდეს 50-60 ათასი ტონა ნაკელი, რომელიც სრულიად საკმარისია ყოველწლიურად გავანოყიეროთ 1000 ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო სავარგული. მაგრამ რეზერვის გამოუყენებლობა აიხსნება იმით, რომ საზოგადოებრივ მეურნეობებში არ გააჩნიათ ტიპიური სანაკელეები, რის გამოც ყოველდღიურად მინდვრად გააქვთ ნაკელწუნწუხი.

ტიპიური ნაკელსაცავის უქონლობის გამო მდინარეებში და ღელეებში ჩადის ნაკელწუნწუხი ჭითაწყარის, ახალსოფლის, ურთის, ყულიშკარის, კორცხელის, ნაცატუს, რუხის, ჭაქვინჯის კოლმეურნეობების, აბასთუმნის, ნარაზენის მეურნეობების მეცხოველეობის ფერმებიდან. მიმდებარე ტერიტორიას აბინძურებენ კახათის, ახალკახათის კოლმეურნეობების და განმუხურის მეურნეობის მეცხოველეობის ფერმები.

მოსახლეობის სამართლიანი საჩივარი გამოიწვია დიდინეძის მეურნეობისა და ახალკახათის კოლმეურნეობის მეღორეობის, ჭკადუაშის, ყულიშკარის მეცხოველეობის ფერმებში სანიტარული მოთხოვნების უგულებელყოფამ. ამასთან ისინი ფუნქციონირებენ სანიტარული ზონის დაცვის დარღვევით.

რამდენიმე წელია მსჯელობის საგანია კომუნალური მეურნეობის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ მოსახლეობიდან ნაგავის დროულად გაზიდვის საკითხი. როგორც შემოწმებამ ცხადჰყო ქალაქის მოსახლეობის მხოლოდ 40 პროცენტს აქვს დადებული ხელშეკრულება კეთილმოწყობის სამსახურებთან. ამას დაემატა ისიც, რომ გასულ წელს დაიხურა ნებადართული ნაგავსაყრელი სოფელ ცაიშის ცაცხვის უბანში. რის გამოც მდგომარეობა სავალალოა. გამომდინარე აქედან უკანონოდ გახსნილია ნაგავსაყრელები თითქმის ქალაქის ყველა უბანში, კერძოდ რაისაავადმყოფოს უკანა ტერიტორიაზე კერძო მოსახლეობის მიერ. კომუნალური მეურნეობის ავტოპარკთან არსებული საერთო საცხოვრებლის სახლის წინ, უსინათლოთა საზოგადოების და გაზის ჩამომსხმელი საამქროს მიმდებარე ტერიტორიაზე, ტოლსტოის, კუიბიშევის, საბჭოს მარცხენა და მარჯვენა სანაპიროს, მესხის, ფაზისის, ლენინგრადის, ბაქოს, ფოთის ქუჩების მცხოვრებლების მიერ იყრება ნაგავი, რის შედეგად ბინძურდება ნიადაგი, მდინარეები ჩხოუში და კუჩხობონი. ანტისანიტარული მდგომარეობაა ქალაქის რკინიგზის სადგურის, საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე და ქალაქ ზუგდიდში შემოსასვლელი გზის ცალკეულ მონაკვეთებზე.

სანიტარული წესრიგის დაცვის მხრივ დამაფიქრებელი მდგომარეობაა ქალაქის მიმდებარე სოფლებში რუხში, ინგირში, ახალსოფელში, კოლხიდაში, ჭითაწყარში, ოდიშში და ახალაბასთუმანში. აქ შექმნილია უკანონო ნაგავსაყრელები. ბუნების დაცვის ზუგდიდის სარაიონთაშორისო კომიტეტს მიაჩნია, რომ აღნიშნულ სოფლებში საჭიროა შეიქმნას ნებადართული ნაგავსაყრელები, სადაც უნდა მოხდეს ნაგავის სრული დამუშავება-კომპოსტირება.

ბუნების დაცვის კომიტეტს ყველა ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად საჭიროდ მიაჩნია შემუშავდეს სამრეწველო საწარმოს ეკოლოგიური პასპორტი — „ძირითადი დებულებანი", რომელიც აწესებს ძირითად მოთხოვნებს სამრეწველო საწარმოს ეკოლოგიური პასპორტის აგების, გადმოცემის, გაფორმების შინაარსის მიმართ. გარემოზე საწარმოს ზეგავლენის დადგენისა და სამეურნეო საქმიანობის პროცესში საწარმოს მიერ ბუნებადაცვითი საწარმოო ნორმებისა და წესების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით.

ეკოლოგიური პასპორტი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტია, რომელიც შეიცავს მონაცემებს საწარმოს მიერ რესურსების (ბუნებრივი მეორადი და სხვა) გამოყენების შესახებ და განსაზღვრავს გარემოზე საწარმოს საქმიანობის გავლენას.

პასპორტს ამუშავებს საწარმო საკუთარი ხარჯებით. მას ამტკიცებს საწარმოს ხელმძღვანელი პრეფექტურასთან და ადგილობრივი ბუნების დაცვის კომიტეტთან შეთანხმებით. იქვე ხდება მისი რეგისტრაცია და ინახება თვით საწარმოში და ბუნების დაცვის ადგილობრივ ორგანოში.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ეკოლოგიური პასპორტების შედგენა საყოველთაო და აუცილებელი ღონისძიებაა, რომლის გარეშეც არც ერთი საწარმო არ უნდა ფუნქციონირებდეს.

გარდა ამისა, უნდა შეიქმნას ბუნების დაცვის ადგილობრივი ფონდი, სადაც ჩაირიცხება ამოღებული ჯარიმების თანხები და წარმოება - დაწესებულებებიდან ბუნებრივი რესურსების სარგებლობიდან მიღებული თანხის 10-15 პროცენტი, რომელიც მოხმარდება ზუგდიდის ზონაში ბუნების დაცვის საქმეს, გვინდა ვირწმუნოთ, რომ ზუგდიდელი მშრომელები თავიანთ მოქალაქეობრივ წვლილს შეიტანენ ქალაქისა და რაიონის ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღებაში.

მ. ხუბულავა
ბუნების დაცვის ზუგდიდის სარაიონთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე.

## ზებნა — და გზაჯვარედინებზე!

# როცა სიჩქარე საზიანოა

ქართველი ადამიანი ოდითგანვე ცნობილია სიმამაცით და სიმხნევით. საქართველოში უძველესი დროიდან მოყოლებული უყვარდათ ცხენებით ჯირითი, რასაც ზოგ შემთხვევაში (გადამეტებული ჯირითის დროს) ტრაგიკული შედეგებიც სდევდა თან. ცხენი მოგეხსენებათ ადამიანის ერთგული სულიერი არსებაა, მაგრამ ისიც იმეტებს ზოგჯერ მხედარს. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, მეგობრებო, რა სავალალო შედეგებით შეიძლება დასრულდეს უსულო საგნით— ავტომანქანებით თავგზებლადებული ჯირითი?

სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ავტოავარიების დიდი უმრავლესობა გადამეტებული სიჩქარით არის გამოწვეული. ერთხელ სპეციალურად გავაჩერე ერთი მოქალაქე, რომელიც დიდი სისწრაფით მიაქროლებდა ავტომანქანას და ვკითხე თუ კაცი ხარ, სად მიიჩქარი-მეთქი, მიპასუხა —სამსახურში მეჩქარებაო. მერე ჩავებით ლაპარაკში და მან ჩემთან ახსნა-განმარტებას მეტი დრო მოანდომა, ვიდრე მას სამსახურში მისასვლელად დასჭირდებოდა წყნარად რომ წასულიყო.

შეიძლება დავასკვნათ, რომ არავის არსად არ ეჩქარება. აკი ქართული სიბრძნე გვასწავლის: „მოჩქარეს მოუგვიანდესო“. დიახ, შესაძლებელია სიჩქარის შედეგად რამდენიმე წუთი მოვიგოთ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში იმის გარანტიაც არსებობს— საფრთხეში ჩავიგდოთ საკუთარი თავი, სხვათა სიცოცხლეც კი. მით უმეტეს, ზუგდიდში არ არის ისეთი გზები, რომ მშვიდად და ჩქარა იმოძრაო. ქალაქისა და რაიონის ტერიტორიაზე ძველი, გაპარტახებული და ფაიტონის სავალი გზებიღა შემოგვრჩა.

ყველას ახსოვს ალბათ სამწუხარო შემთხვევა კახათის გზაზე, სადაც ავტომანქანების გადაჭარბებულმა მართვამ რამდენიმე ოჯახში ტრაგედია დაატრიალა. თუნდაც ახლახან ხობის გზაზე მომხდარი უბედურება ავილოთ... მერედა, ჩვენდა სავალალოდ რამდენი ასეთი ფაქტია დაფიქსირებული?! გვეყო ამდენი ცრემლი და ვაება, გონს მოვეგოთ ძვირფასო მეგობრებო, და, ავტომანქანის დიდი სიჩქარით მართვისას მყისიერად ნუ გავამწარებთ ერთმანეთს, გაგვახსენდეს, რომ ჩვენ სახლში გველიან შვილები, დედ-მამა, მეუღლე...

პრაქტიკა ადასტურებს, რომ ავტომოჯირითეები მეტწილად იმ „მამიკოთა შვილებია“, რომლებიც სარგებლობენ მშობლების მიერ არმად ნაშოვნი ფულით ნაყიდი გაზ—24-ებით, „მერსედესებ...თ“, ...„ტო...ოტ...ობ...ით“... მათ არ იციან ავტომანქანის ყადრი და ფასი, გინდაც დაამტვრიონ, იციან ფულიანი მამიკო ახალ ავტოსაც „დააყენებს“.

მშობლებო, ყურადღება და კონტროლი არ მოვაკლოთ ჩვენს შვილებს, უბედურება შორს ყოფილიყოს, მაგრამ მისგან არავინ არის დაზღვეული, როცა ავტომანქანის საჭესთან გვაქვს სა[...]მე. საქართველოს. ერს სჭირდება თითოეული ჩვენთაგანის სიცოცხლე, ჩვენი ფიზიკური სიჯანსაღე.

გადაჭარბებული სიჩქარით ავტომანქანის მართვის არაერთი შემთხვევაა დაფიქსირებული შესაბამისი სამსახურების მუშაკთა მიერ, მაგრამ დღეს ავტომოჯირითეთა ცინაობის აფიშირებაზე შეგნებულად ვიკავებთ თავს. იქნებ, სანამ გვიან არ არის, ჩაგვეხედა საკუთარ გულში? მოვუხმოთ საღ აზრს, მეგობრებო!

**ფ. კიფიანი,**

შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო - რაიონული განყოფილების სახელმწიფო ავტოინსპექციის ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი.

---

### სპორტი

# ფინალის საგზური — ზუგდიდელ ძალოსნებს

ამ დღეებში ქალაქ ზუგდიდში ჩატარდა ძალოსანთა რესპუბლიკური ზონალური პირველობაკონკურსი, რომელშიც დასავლეთის ზონის 15 გუნდთან ერთად მონაწილეობდა სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ ზუგდიდის რაიონული ნაკრები.

ჩვენმა ძალოსნებმა შესანიშნავად ისპარეზეს და ფინალში გავიდნენ. ფინალური შეჯიბრებები გაიმართა თელავში 26-28 აპრილს.

რაიონის ნაკრების ღირსებას იცავდნენ განმუხურიდან— გოგიტა ნარმანია, რამაზ გიგიბერია, ჭითაწყარიდან —შალვა ყოლბაია, ორსანტიიდან—გოდერძი საჯაია, ოხურიიდან —გიჩა ტურავა და სხვები.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: გოდერძი საჯაია (70 კგ), შალვა ყოლბაია (100 კგ.), ჭაბუკთა შორის —რამაზ გიგიბერია (70 კგ).

წინ ფინალია. წარმატებები ვუსურვოთ ჩვენს ძალოსნებს.

**ომარ ხუფაცარია,**

მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ეროვნულ სახეობაში.

---

# იმედი

იმედის სხივად გამოკრთის
დიდი იმედი ხვალის,
სამშობლოსათვის ზვარაკად
დავიფერფლებით? ამინ!
გვეყო ამდენი ცრემლი და
გვეყო ამდენი დარდი,
საქართველოსთვის ვიზრუნოთ
ბრძოლით, შრომით და კალმით!
თავისუფლება, შენება
და სიყვარული ხატის...
იმედის სხივად გამოკრთის
დიდი იმედი ხვალის.

**რობერტ ჩაჩიბაია.**

---

**რედაქტორი**
**ან. შანტურია.**

---


## ელექტროენერგიის მომხმარებელთა საყურადღებოდ!

საწვავ—მაზუთის მიღებასთან დაკავშირებით მოხსნილია ელენერგიის 50 პროცენტიანი შეზღუდვები.

„საქენერგოს“ ენერგოზედამხედველობის ფოთის ს-შ განყოფილება.


---

ამა წლის 5 მაისს დღის 5 საათზე რკინიგზის სასაფლაოზე დანიშნულია სამაჩაბლოში ტრაგიკულად დაღუპულ

**ჯანო დურუს ძე რაფავას**

სამოქალაქო პანაშვიდი.

---

მეუღლე გული, შვილები ზურაბი, ნუნუ. დარეჯანი, დები: ხუტა, ვარდო. ტატი, ძმა დუდუნი, შვილიშვილები: ლევანი, ლაშა. სიძეები: ლიონი მოსია, პავლუშა ბიგვავა, ძმისშვილები: თემური, დოდო, თენგიზი. მარინა, ირინა, დისშვილები: იამზე, ჯემალი, ჯამბულ ბიგვავები. რეზო, რევაზი, მურთაზი, ჯანიკო ტაბაღუები ოჯახით იუწყებიან

**ტუი პეტრეს ძე გვასალიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3 მაისს. დაკრძალვა 4 მაისს სოფ. ინგირში 17 საათზე.

---

დედა ციალა, მეუღლე ნანული. შვილები: ირაკლი, გენდირა, დები: დალი, ნარი, სიძეები: თემურ სალია, ტიგრან ჯონჯუა. სიდედრი გუნია, სიმამრი კიტო ფირუღლავები, ბიძები: მამანტი ქვარაია, მირო ქაჯაია, ცოლისდები: მზია, ია. ხათუნა. ცოლისძმები: მამუკა. თენგიზი, თემური. ბიძაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ონერი გენოს ძე ქვარაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3 მაისს. დაკრძალვა 4 მაისს სოფ. ორსანტიაში.

---

ინგირის სასწავლო-საწარმოო კომბინატის კოლექტივი იუწყება

**გურამ დომენტის ძე დავითაიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები: მზია. მზიური, და მაგდალინა, სიძეები: კარლო სვირავა, გიორგი ჩიქოვანი, კარლო შარია, შვილიშვილები: გელა, ელისო, გიორგი სვირავები, დავითი. გიორგი ჩიქოვანები, ძმისშვილები: ეთერი. მურმანი, თამაზი, რევაზ გუნჯუები, ცოლისდა ვალია შვილებით, მზახლები ჯოტო, ლიდა სვირავები, ქმნია ყოლანდარია, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**აკაკი ჩამას ძე გუნჯუას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 5 მაისს. გამოსვენება ქალაქი ზუგდიდი, ბაქოს ქუჩა 16-დან 18 საათზე.

---

მეუღლე სერიოჟა, შვილები: ლეილა, კოტე, რძალი თინა ხოფერია, სიძეები ელდარ ოთხოზორია, მიშა მებონია, შვილიშვილები რეზო, მირანდა ჯიქიები, ნანა, ნაზი ოთხოზორიები, მული ნორა ჯიქია, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ოლია მალაქიას ასულ ცანავა-ჯიქიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5, 6 მაისს. დაკრძალვა 7 მაისს სოფელ ოქტომბერში.

---

ქ. ზუგდიდის №7 საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექპერსონალი იუწყებიან

**თამარა მოსეს ასულ კვარაცხელია-ქარცხიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები: ქუნა, გაგა, ვალიკო ადამიები. დები: რაისა, ბუქექი ნარმანიები, თალიკო. ნათელა, ძმა კოკო კორკელიები, რძლები: გული, როზეტა, ქეთევანი, გულნაზი, ნარგიზა. ცუცა, ქუჟა, მანია, ეთერი. სიძეები: ზირიან ბიგვავა, როლანდი თოდუა. ალექსი თარცვანია. გია გაბისონია, ძმისშვილები: ოთარი. ალიკო ნარმანიები, აბესალომ, ჩერაბი კორკელიები, დისშვილები ია ნარმანია, დოდო. ლეილა. რეზო, გულადი ცანავები, ლონდა გვაჯაია, შვილიშვილები. შორენა, ნოშრევანი, თამილა. ნანა, გელა, გია, ანიკო, თამუნა ადამიები, ქეთინო. თამილა. რამაზი ბიგვავები. მაზლიშვილი პატიკო აბაშია. მულები ლისა, ანეტა, ახლო ნათესავებით იუწყებიან

**ნაზია (თითული) იროდის ასულ ნარმანია-ადამიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3 მაისს. დაკრძალვა 4 მაისს სოფ. ორსანტიაში.

---

მერი, რიტა, ნატო, კოლია, ჩურთაზი, აკაკი ქუთელიები, ნინო, ნუკრი ჯაბუები ოჯახებით იუწყებიან სიძის

**ზურაბ რევაზის ძე ბალათურიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე ბედიშა, შვილები: ნათელა, დოდო, ილგუჯა როგავები, შვილიშვილები: მარინე, ზვიადი ჯიჯელავები. თამუნა, თეონა როგავები. შვილთაშვილი შოთიკო რძლები: ლილა. ძაბული, ეფეროზა, ცოლისდა დუნია. სიძეები: მურმან ჯიჯელავა, ვაჟა შონია. ჯამბულ გითოლენდია, ძმისშვილები: ფინია. ციცი, თალიკო. მარგო. აბელი, ვახტანგი, მზახლები: ლუშა ჯიჯელავა, რევაზი. ნადონა ქადარიები. ცოლისძმისშვილები. ცოლისდისშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**ერმინე გაბრიელის ძე როგავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3 მაისს. დაკრძალვა 4 მაისს სოფ. კოლხიდაში.

---

მეუღლე ლუბა. შვილები: ინგა, დათო, გია. დიანა, დები: კლარა, კლავდია, ზოია. ძმები: კოტე, კარლო. მურადი. კოკი. სიძეები: ბორის სავინი, მურმან ჭითანავა, ძმისშვილები: გენო, ჯამბული, ჯუმბერი, ჯემალი, რევაზი, დემური, ვახტანგი. ხვიჩა, ლუიზა. აზა, ლარისა, მარინა დავითაიები. დისშვილები: ზურიტა, ირმა. ია. გოჩა. მაცირა სონია, ბიცოლა თამარა, მამიდაშვილები: ნორა. ბონდო კეიდიები, ბიძაშვილები სულიკო. გურამი, ცხუნტა დავითაიები. ახლო ნათესავები იუწყებიან

**გურამ დომენტის ძე დავითაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4 მაისს. დაკრძალვა 5 მაისს სოფ. ინგირში.

---

შვილი მარინა, სიძე რომანი, შვილიშვილი სვეტა, დედა ცოცო, ძმა ანატოლი, რძალი ვალია. დები ლია, ლუდა. ბიძაშვილი, სიძე ვალტერ ტაბაღუა, ძმისშვილები, დისშვილები. მამიდები, ბიძები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**გივი ლევთერის ძე ლაგვილავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3 მაისს. დაკრძალვა 4 მაისს ზუგდიდში, გამოსვენება პავლოვის 69-დან (ი. ხ. კ.)

---

დედა ქენია, ძმები ქორა, ტარიელი, ძმისშვილები დათო, გიორგი, ქრისტინა ჩიქოვანები, რძლები მზიური გუნჯუა, დოდო ყოლბაია იუწყებიან

**ვახტანგ გრიგოლის ძე ჩიქოვანის**

გარდაცვალებას.

---

და კატუშა. დისშვილები მზია, ქორა შონიები, ციცო, ლოთი ფიჩხაიები. სიძეები იურა შენგელია, თორნიკე აბშილავა, რძლები: გულნარა ბულია. მარინა წირღვავა. ბიცოლები: სონია, ვენერა ქარჩავები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**თამარა (გოდო) აკაკის ასულ ჩუხუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3 მაისს. დაკრძალვა 4 მაისს სოფელ კახათში.

---

შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო-რაიონული განყოფილების პირადი შემადგენლობა იუწყება

**ნუგზარ მუხრანის ძე კვირტიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები ლიანა, ლეილა, გულნაზი ლოგუები. შვილიშვილები: ბესიკი, ნატო მიქაიები, რძლები: ბუცა ჩახაია, ოლღა ლოგუა, ძმისშვილები: ნაზო, ნიუტონი ჩახაიები, მაზლი ვანო, მული თამარი ქარდავა, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მაზლიშვილები და მულიშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ცუცა (ტატიანა) კონსტანტინეს ასულ ჩახაია-ლოგუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4 მაისს. გამოსვენება 5 მაისს 5 საათზე, ზუგდიდი, ი. ქ. კ. სტახანოვის ქ. 41, დაკრძალვა სოფ. კახათში.

---

მეუღლე მადონა, შვილები: ნორინა, თეა. დები ნათელა, აიდა, მერი, ლამზირა, ძმები: ქორა. ლუდა, რძლები: ვენერა. ლუარა. ნანული. სიძეები ვახტანგ ხოჯაშვილი, დუდუნი თოლორდავა. თენგიზ პერტაია, ზური ძაგანია, შვილიშვილი ნინელი, სიდედრი მარგო ხურცილავა, მზახლები: მერი. თემური ხოჯაშვილები. ცოლისდები: ეთერი, ავრორა, ცოლისძმა რევაზი გოროზია, ქვისლები პატიკო სვანიძე, თაზო მოსია, ძმისშვილები: ემზარი, ლია. ლალი. ჭაბუკა კვირტიები, დისშვილები: რენა, დინა, გია თოლორდავები. ბიჭანა. გიგა პერტაიები, არჩილ. ნონა ძაგანიები, დიდდაშვილები, ბიძაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ნუგზარ (ჯუმბერ) მუხრანის ძე კვირტიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2. 3 მაისს. დაკრძალვა 4 მაისს. 17 საათზე. გამოსვენება თალიაშვილის 2-დან.

---

მეუღლე ქეთინო, სიდედრი როზა, სიმამრი ვასო, ცოლისძმა თათო, რძალი გელა ქუთელიები, ბიძა კოლია, ბიცოლა ნერი, მამიდები: მართ. ვერა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **ზურაბ რევაზის ძე ბალათურია.** დაკრძალვა 4 მაისს 3 საათზე. გამოსვენება: თბილისი. გამსახურდიას 14, ბინა 47, (ბახტრიონი).

---

და ჯულიეტა. სიძე ლუთერი თორია. დისშვილები: ლელა. ვერიკო. ლადო იუწყებიან

**ვახტანგ გრიგოლის ძე ჩიქოვანის**

გარდაცვალებას.

---


ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-69, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00.

საქ. მინისტრთა საბჭოს ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-23-07, ტირაჟი 8000 შეკ. №1299.